# ცნობის ფურცელი

I წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** შაბათი, 14 აპრილი №1435

...ეთი დირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ...მრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.
...ს-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ...ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო-...ბაში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.
**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". ტელეფონი № 372.


...ზნ. ანტონ ბეჟანის ძე, მეუღლე მისი მატრონა, თავ. კონსტანტინე ჩიჩუას ასული ...ა ძე მათი გრიგოლ ქავთარაძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ...გარდაცვალებულის პირველ ორთა—უსაყვარლესის ასულის და უკანასკნელი დის

## მ ა რ ი ა მ ი ს ს,

40 დღის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია 17 აპრილს სენაკის მაცხოვრის ეკლესიაში. (1—1)

---

...აპრილს გარდაიცვალა სოფ. ჯიხაიშში ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტი

## სვიმონ ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე.

...ობრები განსვენებულისა სთხოვენ ნაცნობთა და ნათესავთ მობრძანდნენ კვი...ს, 15 აპრილს, შუადღის 12 საათზე, ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში, ...აც გარდახდილ იქმნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. (2—1)

---

12 აპრილს, სოფ. ჯიხაიშში (ქუთ. მაზრა), გარდაიცვალა

## სიმონ ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე,

...საც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა მისი ...ქრინე ლორთქიფანიძისა, ძმები—იოსებ და ვლადიმერი და ცოლის-ძმა სიმონ ...ორთქიფანიძენი. განსვენებულს დაასაფლავებენ სოფ. ჯიხაიშში შაბათს, 14 აპრილს. (1—1)

---

# ქართული თეატრი

**კვირას, 15 აპრილს**

ა რ ტ ი ს ტ ი ქ ა ლ ი

გაბუნია-ცაგარლისა გამართავს წარმოდგენას მ. მ. საფაროვის მონაწილეობით.

წარმოდგენილი იქნება

## ხ ა თ ა ბ ა ლ ა

კომ. 4 მოქ. და 5 სურ. გ. სუნდუკიანცისა.

...ონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, ...იძე; ბ.ბ. აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი და სხვ.

...ალ...ეიის ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

---

### ტფილისის კერძო
## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო
### მკურნალის გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჯიჯიხაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრობით—9—10 ს.

ნ. ა მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა,—11—12 საათამდე.

ი. ბ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი—10—2 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

ვ. დ. მარკევიჩი—სადოსტაქრო— $12^1/_2$ $1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაპეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათამდე.

მ. ბ. ბეზირგანოვი—შინაგანი და ბავშვებისა 1—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი.—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი.—5—6 საათზე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით—10—12 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და დამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წლ.)

---

**ვ**ანვიზრახეთ **ბეჭდვა წიგნაკებისა**, რომლებიც სივრცით არ იქნება სამ თაბახზე მეტი და ამიტომ ვთხოვთ პატივცემულ ავტორთ მოგვაწოდონ ყოველნაირი ნაწარმოებნი, როგორც ორიგინალური, აგრეთვე ნათარგმნი. ავტორთ ჰონორარი მიეცემათ.
ადრესი: Квирилы, Тифографія М. Гачечиладзе. (б. 5—1)

---

### წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისაგან.

წიგნების გამომცემელი ქართველთა ამხანაგობის

## საზოგადო კრება

დანიშნულია 21 აპრილს 1901 წ. საღამოს 8 საათზე, ნაცვლად კრებისა, რომელიც არ შესდგა თანხმად ამხანაგობის პირობის მე 18 მუხლისა.

---

### მთავრობის განკარგულებანი

სამოქალაქო უწყებას: სიღნაღის მაზრის ხაზინის კანცელარიის მოხელეს ლ ა პ ი ა შ ვ ი ლ ს ებოძა კოლეჟსკი რეგისტრატორობა.

სტავროპოლის ოლქის სასამართლოს უწყების მეორე ნაწილის სასამართლოს გამომძიებელი კოლეჟსკი სოვეტნიკი თ ა ვ. ვ ა ჩ ნ ა ძ ე გადაყვანილ იქმნა იმავ უწყების პირველ ნაწილის გამომძიებლად.

დანიშნულ იქმნა სასამართლოს დეპარტამენტში კოლეჟსკი სეკრეტარი ზ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი, მიწის მზომელის უმცროს თანაშემწედ. ებოძათ: მე-IX კლასის ინჟინერ-ტეხნოლოგს გუბერნსკი სეკრეტარს კ ა ლ ა ტ ო ზ ი შ ვ ი ლ ს კოლეჟსკი სეკრეტრობა, ბაქოს სამაზრო განყოფილების მომრიგებელ მოსამართლეს კოლეჟსკი ასესორს მ ა მ უ ლ ა ი შ ვ ი ლ ს ნადვორნი სოვეტნიკობა და ტფილისის პირველ განყოფილების სასამართლოს ბოქაულს ტიტულიარნი სოვეტნიკს ნ ა თ ი შ ვ ი ლ ს კოლეჟსკი ასესორობა.

დანიშნულ იქმნენ ც ი ც ა ძ ე, ლ ო მ ი ძ ე და მ ა მ უ ლ ა შ ვ ი ლ ი მიწის მზომელთა უფროს თანაშემწეებად.

---

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

**12 აპრილი.**

**იოკაგამა.** სამინისტრო კრიზისი დასრულდა.

**პეკინი.** საერთაშორისო საზმი, შემდგარი 800 კაცისაგან, გაიგზავნა შანჰაი გუ-

---

# ფელეტონი

### ...ზმარი გაზაფხულის დილას*)

...სტიული პოემა იტალიელი დრამატურგის

**გაბრიელ ანნუნციოსი.**

(sogno di un moffino di primavera)

მ ო მ ქ მ ე დ ნ ი პ ი რ ნ ი:

...ელლა.
...რიჩე.
...ინიო.
...ი.

თეოდოტა.
სიმონეტტა.
პანფილო.

...: სასახლე მაღალის სვეტებით და თაღებით. ...გვერდზე სდგას ანდრიანტები. მოსჩანს ბაღი ...ბით და ვარდებით შემკული; ჯგუფ-ჯგუფი ...ბუჩქები, აპელსინის ხეები ქურქელში; სცე...რომეში დაბურული ტყე. მზიანი დილაა. ...საზოგადოდ წარმოადგენს საიდუმლოებით ...სურათს.

**1 სანახავი.**

**...ლო და სიმონეტტა** (მებაღე და მოახლე).

...ილო. (აპელსინის ხეს ასუფთავებს, სი...ქეთა ახლო სდგას და იმის მუშაობას უყუ...რებს პანფილო მღერის).

...ე უცხო რამ ტურფა გვირგვინი...
შევიკავო ეხლა ქვითინი:
ყველა მის ვარდი სატრფოს მაგონებს,
სატრფოს, რომელსაც ეს გული ჰქონებს!..

ხვალ სულ გაიშლებიან ყვავილები... ურიცხვი ვარდები. ჩემს დღეში არ მოვსწრებივარ ყვავილების ამისთანა მშვენიერ მოსავალს... ამ ზაფხულს საკმაო საზრდოს კი იშოვიან ფუტკრები. ისეთი ყოფა აქვთ ფუტკრებს, რომ თავბრუ დაგეხვევათ... ერთი ჟრიამული... რას ჩაფიქრებულხარ, სიმონეტტა! გვირგვინზე ხომ არა ჰფიქრობ?

**სიმონეტტა.** (აბრუებული) რომელ გვირგვინზე?

**პანფილო.** საპატარძლო გვირგვინზე!

**სიმონ.** ნეტავი შენა, პანფილო, რომ სულ გეხუმრება! რა ბედნიერი ხარ! მე კი კინაღამ დამეძინა აქ დგომაში. თვალები მელულება. წუხელის ამ სასახლეში არავის არა სძინებია, თუმცა ნათქვამია, რომ აპრილში ძილი ტკბილიაო. რა სიამოვნებით დავიძინებდი შუადღემდის აიმ მაღალ ბალახში...

**პანფილო.** მაშ ქალბატონ იზაბელლას გამოისობით წუხელი არა გძინებია? ძალიანა სწუხდა?

**სიმონ.** სწუხდა კი არა, ერთ წუთს არ მოუხუჭავს თვალი. მთვარის შუქზე დიდხანს ვიჯექი იმასთან მწვანეზე და ხან ვუშლიდი, ხან ვუწნავდი თმას. ყოველ წუთს მკითხავდა, თმა გამითეთრდა თუ არაო?... ძალიან გრილოდა... ქალბატონ იზაბელლას თხელი ტანისამოსი ეცვა, სულ აკანკალებდა და კბილს კბილზე აცემინებდა .. ოჰ, რა ტანჯვა იყო, რა გამოუთქმელი ტანჯვა! რამდენჯერმე ვუთხარი, სახლში შევიდეთ მეთქი; ადგებოდა, ორსამ ნაბიჯს გადასდგამდა კარებისკენ, და უცბად რაღაც შიში აიტანდა ხოლმე— შეჰკივლებდა: „არა, არა!.. ის იქ არის! კარებს უკან სდგას!" რომ გაგეგონა იმისი კივილი, მართლა გეგონებოდა, რომ კარებს უკან ვიღაცა სდგას. ასე გავატარეთ განთიადამდის. მშვენიერი მთვარიანი ღამე იყო. ქალბატონი ბეატრიჩეც ჩამოვიდა ძირს და მოაჯირთან სტიროდა.

**პანფილო.** საბრალო! იმას თავისი თავი ავიწყდება; იმისი სიცოცხლე ისე მიდის, რომ სიყვარული ვერ უგემებია! მე ის უფრო მეცოდება, ვიდრე შეშლილი...

**სიმონეტტა.** მაშ თქვენ სიყვარულზე ჰფიქრობთ?

**პანფ.** თქვენა? (სახუმე).

**სიმონეტტა.** ხედავთ, სადამდის მიჰყავს სიყვარულს ადამიანი!

**პანფ.** დიახ, როდესაც იგი ზეგარდმო ნაკურთხი არ არის.

**სიმონეტტა.** მე ამას ბეატრიჩეზე ვამბობ. აკურთხე, უფალო, სიყვარული!

**პანფ.** ბეატრიჩეზე? მაშ ის ყმაწვილი, ცხენით რომ მოდის ხოლმე...

**სიმონეტტა** მე არაფერიც არ ვიცი.

**პანფ.** ის მაინც არ იცით, ვინ არის?

**სიმონეტ.** ძმა არის...

**პანფ.** ვისი ძმა?

**სიმონეტ.** მოკლულისა.

**პანფ.** მოკლულისა!..

**სიმონ.** იმისი ძმა, რომელიც ჰერცოგმა მოჰკლა ქ-ნი იზაბელლას ოთახში.

**პანფ.** მესმის... და ეხლა იმიტომ დადის, რომ...

**სიმონ.** არაფერი არ ვიცი მეთქი?

**პანფილო** გუშინ დილას ტყეში ვნახე. სულ ახალგაზდასა ჰგავს, პირზე ბუსუსი აქვს... ცხენი ხეზე მიაბა და ვიღასაც ათვალიერებდა, თითქო უცდის ვისმეო. მაშ ბეატრიჩეს გულისთვის დადის ..

**სიმონ.** აკი გითხარი, რომ ვერ გიპასუხებ!

**პანფ.** რომ არ ერგებიან ერთმანერთს: განა ორ ძმას ორი და უყვარსთ?

**სიმონეტ.** შეიძლება... მე არაფერი არ ვიცი.

**პანფ.** ღვთის გულისთვის, ერთი ეს მითხარით: მართლა იმ დროს მოჰკლეს ის ყმაწვილი, როდესაც ჩახუტულს იზაბელლას მკერდზე ეძინა? ისიც მართალია, რომ იზაბელლა, მთლად სისხლში მოსვრილი, იმის ცხედარს ეხვეოდა და განთიადისას გონება დაჰკარგა?

---

*) ...თხზულება დაწერილია შესანიშნავი იტა...არტისტი ქალის—ელეონორა დუზესთვის, ...ც ამ პიესის თამაშით (იზაბელას როლში) განცვიფრებაში მოიყვანა საზოგადოება. მთარგ.

ანიდან იმ ავაზაკთა დასასჯელად, რომელნიც ამას წინად შეებრძოლნენ პენჯაბის პოლკს და რომელთაც მოჰკლეს მაიორი ბრაუნინგი. ბრაუნინგის გვამი იპოვნეს. ავაზაკები გაიქცნენ მთაში, მათგან 50 კაცი მოკლულია; რაზმი მათ სდევნის.

**ტიანძინი.** შანჰაი გუანთან ინგლისელებმა იპოვნეს მიწაში ჩაფლული 19 ზარბაზანი და სამხედრო მასალა.

**ლონდონი.** „სტანდარტი“ იტყობინება: გიქს ბიჩმა პირობა მისცა ბეჯითად განიხილოს წინადადება იმის შესახებ, რომ თითო ტონნა ნახშირზე ბაჟის გადახდევინების მაგიერ შემოღებულ იქმნას სხვა გვარი ბაჟი: იაფ ფასიან ნახშირზედ 8—9 პენსი, ხოლო უფრო ძვირზე— 18 პენსამდე.

**პეკინი.** იტყობინებიან, რომ ფრანგების, ინგლისელების და იაპონელების რაზმებმა უკან დააწევინეს ჩინელ ავაზაკებს. ბევრი ჩინელი მოკლულია, ევროპიელებს კი რამდენიმე კაცი ჰყავს დაჭრილი. ავაზაკთა ბრბო ჯერ არ არის სრულიად გაფანტული.

გაზეთები უარს ჰყოფენ იმ ხმას, ვითომც ნიუჩუანში სადამოჟნო კომისარად რუსის მოხელე იქმნა დანიშნული; კომისარად ისევ ინგლისელი დარჩება.

**პეტერბურგი.** საფრანგეთისა და რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრები ცარსკოე სელოში წავიდნენ. დელკასე მიიღეს ხელმწიფე იმპერატორმა და დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა; შემდეგ დელკასე მიიწვიეს უმაღლეს საუზმეზედ, რომელზედაც იყვნენ მიწვეულნი აგრეთვე სასახლისა და გარეშე საქმეთა მინისტრები.

**კიევი.** წვიმა მოდის; 5 გრადუსი სითბოა. ხეები იმოსებიან ფოთლებით; მინდვრები ამწვანდნენ.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ყინულმა მოგლიჯა ნაპირს 12 ნავი; ნავები მალევე დაიჭირეს. ზარალი ცოტაა; მდინარე მატულობს.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

# ჟურნალ-გაზეთებიდან

✿ «მანჩესტრ გვარდიან»-ს. ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ლონდონელი პროგრესისტები (ლიბერალები) მეტად გამხნევდნენ მას აქეთ, რაც ლონდონის საგრაფო საბჭოს წევრების არჩევნების დროს ზომიერ წევრებზე (კონსერვატორებზე) გაიმარჯვესო და გადაწყვიტეს, რომ კონსერვატორებს პარლამენტშიაც ბრძოლა დაუწყონ. ხსენებული გაზეთის სიტყვით, «იმათ გადაწყვიტეს დეპუტატთა პალატაში ცალკე ჯგუფი შეადგინონ. ამ ჯგუფმა პარლამენტში უნდა დაიცვას დემოკრატიული რეფორმები ლონდონის საქალაქო მეურნეობისათვის. კონსერვატორებს ძლიერ სწყინთ ეს განზრახვა. როგორც ცნობილია, ლონდონის დეპუტატებად პარლამენტში უმეტესად ესენი არიან, მაგრამ განათლებული უნიონისტების მომეტებული ნაწილი იმ აზრისაა, რომ მომავალ საზოგადო არჩევნების დროს ისინი დაჰკარგვენ ამ ადგილებს, თუ რომ ხელს არ აიღებენ თავიანთ «ზომიერ» პოლიტიკაზე და პროგრესისტებივით ნამდვილ სასარგებლო რეფორმებს არ მოითხოვენ საქალაქო მეურნეობის გასაუმჯობესებლად».

✿ როგორც ფრანგ. გაზ. «მატენ»-ი იუწყება კუნძულ მალტაზე (ხმელთა შუა ზღვაში, იტალიის ახლო), რომელზედაც იტალიელები სცხოვრობენ, მოძრაობა ინგლისის წინააღმდეგ უფრო და უფრო ძლიერდებაო. ფრანგ-იტალიელების დასი დიდ მხნეობას იჩენს, როგორც ვაჭრობის, ისე პოლიტიკის საქმეებშიო. ინგლისის გავლენა დღე და დღე მცირდება. თითქმის ყველა საქმეები გადავიდა ფრანგების ფირმების ხელში მარსელში და იტალიელი ფირმების ხელში პალერმოსა და კატანიაში.

✿ საფრანგეთის პირველი მინისტრი ვალდეკ-რუსსო იტალიაში წავიდა. ამ ამბავმა გაზეთებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. «სიეკლ»-ის სიტყვით, ზოგიერთნი ამტკიცებენ, რომ თავდაპირველად ამ მოგზაურობას სხვა მიზანი არა ჰქონდა რა გარდა გართობისა და მოსვენებისა და რომ პირველი მინისტრის ავად გახდომის შემდეგ ექიმები მეტად ბეჯითად ურჩევდნენ იტალიაში წასვლასაო; მეორეები ბეჯითად ამტკიცებენ, რომ ვალდეკ-რუსსო ამ მოგზაურობისათვის დიდი ხანია ემზადებოდა და რომ ეს მოგზაურობა გამოწვეული იყო პოლიტიკურ მოსაზრებათა მიერო. ვალდეკ-რუსსო იტალიაში სწორედ ტულონის საერთა-შორისო დღესასწაულების მეორე დღეს წავიდა. ისინი დასძენენ, რომ მინისტრ პრეზიდენტის შეხვედრა იტალიის ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეებთან მათთვის სრულობით მოულოდნელი არ იყოო.

✿ სადეპარტამენტო საბჭოები ისევ მშვიდობიანად განაგრძობენ თავიანთ სხდომებს. ნაციონალისტები მეცადინეობდნენ, რომ მთავრობისა და კერძოთ ასოციაციების შესახებ კანონის წინააღმდეგი რეზოლიუციები დაედგინათ, მაგრამ უმეტეს ნაწილად მათმა მეცადინეობამ უნაყოფოდ ჩაიარა. მხოლოდ ცოტაოდენ დეპარტამენტში გამოუცხადეს განკიცხვა კონგრეგაციების შესახებ კანონს; ხოლო სადეპარტამენტო საბჭოების დიდი უმეტესობა გაბედვით მიემხრო მთავრობას: ბევრმა მათგანმა თანაგრძნობა გამოუცხადა პრეზიდენტ ლუბეს, ზოგმა სურვილი გამოთქვა, რომ ვალდეკ-რუსსო მალე მორჩენილიყვეს, და ზოგმა კიდევ — რომ კანონი ასოციაციების შესახებ მალე იყვეს დამტკიცებული სენატის მიერ. მაგალითად დეპარტამენტ იურის საბჭომ დაადგინა მადლობა გამოუცხადოს პარლამენტის წევრ მომხსენებელს ტრუიოს, რომელიც პალატაში მხნედ იცავდა ასოციაციების შესახებ კანონპროექტს. დეპარტამენტ ლაზერის საბჭოს თავჯდომარემ ზიზღით მოიხსენია ნაციონალისტური გაზეთების ქცევა ტულონის დღესასწაულების დროს, რადგანაც ეს გაზეთები, მთავრობის ჯიბრით და სიძულვილით გატაცებულნი, უცხო სახელმწიფოების წინაშე საფრანგეთის ღირსებას ამცირებდნენო. საზოგადოდ სადეპარტამენტო საბჭოების სხდომებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, თუ რა დიდი სახელი და სიყვარული აქვს მოპოვებული საფრანგეთში ვალდეკ-რუსსოს სამინისტროს.

✿ კონგრეგაციების განდევნას პორტუგალიაში ისევ წინანდებურის მხნეობით და თანდათანობით განაგრძობენ. «რეპარადორას» მონასტერში 8 მონაზონი-ღა დარჩა და იმათაც 24 საათის ვადა მისცეს გადასასახლებლად. წმ. ფრანცისკის საზოგადოების მონაზნებმა თავიანთ მონასტერი მიატოვეს; პორტუგალიის დიდ-გვაროვან ქალებმა ამ მონაზნებს საერო ტანისამოსი გაუგზავნეს, რომ ქუჩებში უშიშრად შეეძლოთ სიარული. ამ საზოგადოების მონაზნებმა უკვე სამხრეთ-აფრიკის აღმოსავლეთი ნაპირიც კი მიატოვეს. განდევნილმა კონგრეგაციებმა ლონდონის ბანკის პორტუგალიის განყოფილებაში 800,000 დური შეიტანეს; დიდი ფული შეიტანეს აგრეთვე პორტუგალიის საკრედიტო ბანკშიაც. პარამოსიდან იუწყებიან, რომ ხალხმა ადგილობრივ მონასტრის წინ მანიფესტაცია გამართაო; მონასტრიდან გაისმა რევოლვერის სროლა, ხალხმა რევოლვერისა და ქვის სროლით გასცა პასუხიო. რესპუბლიკელები და ლიბერალური ასოციაციები ადარა კმაყოფილდებიან მხოლოდ კონგრეგაციების განდევნით; ისინი თხოულობენ, რომ ეკლესია სახელმწიფოსაგან განშორებულ იყოს, ყველა სარწმუნოებას სრული თავისუფლება მიენიჭოს და ნაშთი მარკიზ პომბალისა, რომელმაც მე-XVIII საუკუნეში პორტუგალიიდან იეზუიტები განდევნა, ეროვნულ პანტეონში გადმოტანილ იქმნეს.

✿ ფილიპინების კუნძულზე ამერიკელების საინტენდანტო დაწესებულებაში დიდი ქურდობა აღმოუჩენიათ. ეს ქურდობა დაწყებულა წარსული წლის ივნისიდან. ამ საქმეში 1 [illegible] 7 სერჟანტი, იჯარადარი და სამოქალაქო [illegible] უების ბევრი პირი [illegible]

✿ ნიუ-იორკიდან [illegible] ატყობინებენ, რომ ფილიპინელებმა გადაწყვ[...] ბურების მაგალითს მიჰბაძონ და პრეზიდ[...] ამოირჩიონ, რომელიც საზღვარ გარეთ [...] მედებს, როგორც დიპლომატიური აგენტი, [...] სამხედრო უფლება კი არ ექნება; ეს [...] ექნებათ მხოლოდ ჯარის უფროს გენერ[...] ჯერ პრეზიდენტად უნდა აერჩიათ პატივც[...] და დარბაისელი ბ. პატერნო, მაგრამ ამან [...] თქვა და ეხლა ან ჟურნალისტ ლემეს აირ[...] რომელიც მადრიდის გაზეთებში სწერავს, ბ. პონსის, რომელიც იაპონიაში მყოფ ფი[...] ნელთა ახალხაზრდობის წინამძღოლადაა უდი.

✿ ბრძოლისაგან დაქანცული ინგლისის [...] ვრობა, როგორც სჩანს, მზადაა, რომ ზოგ[...] რამ დაუთმოს ბურებს. როგორც ვიცით დეპ[...] დან, ბ. ალფრედ მილნერი სამხრეთ-აფრ[...] ინგლისში მოდის დასასვენებლად, სა[...] სამ-ოთხ თვეს დარჩებაო; ნორმალური [...] მიმდინარეობა რომ იყოს, მის მაგივრად [...] ლმა კიტჩენერმა უნდა შეასრულოს მისი მოვ[...] ბაო, მაგრამ რადგანაც მთავარ-სარდალი [...] სოდაც ვერ აცდის თავის საკუთარ საქმ[...] ამიტომ მილნერის მაგივრად სხვა რომ[...] პირი დაინიშნება სამხრეთ-აფრიკაშიო.

მილნერი, ეს მოსისხლე მტერი აფრი[...] რებისა, სამი თვე ევროპაში დარჩებაო, - [...] შნავს ფიგაროს ლონდონელი კორესპონდ[...] ამ სამ თვეშიბევრი წყალი ჩაივლის. შეიძ[...] რომ მანამდე ბურებთან ომიც კი გათა[...] თუნდაც რომ ომმა სამს თვეზე მეტი გ[...] ნოს, მაშინ ბ. მილნერიც ადვილად მიჰხ[...] რომ თავის თავის დასასვენებლად და მო[...] ნად ისიც უფრო დიდხანს უნდა დარჩეს [...] პაში. მილნერი რომ სამსახურიდან დაითხ[...] ინგლისის მთავრობამ. ამით სახელს გაიტ[...] სამხრეთ-აფრიკაში, ამ დათხოვნით მთა[...] მილნერს ბურებს ანაცვალებდა. მაგრამ თუ [...] ნერი ავად არის, მაშინ მისი წამოსვლა [...] რავის არ გააკვირვებს. მაშასადამე უნდა ვ[...] დეთ, რომ ბ. მილნერის ავადმყოფობა [...] რასმე სარგებლობას მოიტანს.

✿ ამერიკულ გაზეთების სიტყვით, ტორიის ინგლისელის გუბერნატორის მეუ[...] ქ. მაკსველს კეთილშობილური საქმე უთ[...] ეს ქალი ჩამომავლობით ამერიკელი უო[...] და ამერიკის გაზეთების საშუალებით სა[...] დობისათვის თხოვნით მიუმართავს, რო[...] ზოგადოებამ ყოველნაირი დახმარება გა[...] და მეტადრე თბილი ტანთსაცმელი გაუგ[...]

---

**სიმონ.** ჰკითხეთ ბებერს, იმან ყველაფერი იცის.

**ჟანჶ.** ახლა მეორე ძმა... ბეატრიჩეს კი უყვარს ისა? ელოდა? საბრალო წუხელის სულ სტიროდა! როდისმე არ უთქვამს თქვენთვის თავის საიდუმლოება?

**სიმონ.** (ყურს უგდებს). გესმით? ექიმი მოსულა, კიბეზე ბებერს ელაპარაკება. მე წავალ. (მიდის).

**ჟანჶ.** სად მიდიხართ? ღვთის გულისთვის შუშაბანდისკენ შემოიარეთ, მინდა გითხრათ რამე... გამიგონეთ, სიმონეტტა! სიმონეტტა! (უკან დაედევნება).

**2 სანახავი.**

მოხუცი **თეოდოტა** და **ექიმი**. (შემოდიან მარცხენა კარით).

**თეოდოტა.** აი, ესეც გაზაფხული, დადგა გაზაფხული; ყოველიფერი ცოცხლდება. სისხლიც ილვიძებს... ამ დღეებში წითელი ვარდი დაინახა იზაბელლამ და საკმარისი იყო, რომ...

**ექიმი.** თეოდოტა, წითელი ფერი უნდა მოარიდოთ ხოლმე.

**თეოდოტა.** წითელი ყვავილები უცბად გაიშალნენ, ექიმო! არავინ არ მოელოდა ამასა, რადგანაც ის ყვავილები თეთრ ვარდებში ყოფილიყო დამალული. მებაღემ ეს ვერ შენიშნა... ის ყვავილი რომ დაინახა, შეჰკივლა საბრალომ და გაიკანკალა.— საშინლად გაიკანკალა: სისხლით შეღებილი საზარელი ღამე წარმოუდგა თვალ წინ. შემდეგ მოსწყვიტა იზაბელლამ ის ყვავილი, გულში ჩაიხუტა და გულხელი დაიკრიბა. ისეთს სიტყვებს ამბობდა, რომ მე გული შუაზედ მეპობოდა... გუშინ კიდევ გუბის ნაპირას წამოწვა და თმები წყალში ჩაჰყო—გამითეთრდესო... უცბად კიდევ შიშმა აიტანა; მოელანდა, რომ სისხლი მაცხიაო..· თმები სულ დასველებული ჰქონდა სისხლით... ისე მაგრა მიჰკრობიყო ერთმანეთს, რომ იმისი ჩამობანა ვერ შევძელით... როდესაც ტანსა ვბანდით, იცინოდა, განუწყვეტლივ იცინოდა... ის ეხლაც თვალ წინ მიდგა იმ მდგომარეობაში, ეხლაც მესმის იმისი ხარხარი... ოოო, ეს საზარელი სარხარი სამუდამოთ დამრჩება ყურებში!

**ექიმი.** თქვენ დაესწარით იმ ამბავს, ყველაფერი იცით... თქვენ გენახვებათ მოკლულის ძმა, ყმაწვილი, სულ ახალგაზდა...

**თეოდოტა.** (მშობლური შებრალებით). ვირჯინიო?

**ექიმი.** ვირჯინიო ჰქვიან? ჩემთან იყო, რომ მომელაპარაკნა...

**თეოდოტა.** ვიცი, ვიცი.

**ექიმი.** თქვენც გითხრათ რამე?

**თეოდ.** დიახ.

**ექიმი.** უცბათ მოირბინა ჩემთან. იმისი ცხენი ძალზედ გაოფლიანებული იყო. თითონ ისეთი აღელვებული იყო, რომ ვიფიქრე, უთუოდ მომაკვდავთან მივყევარ მეთქი. ეტყობოდა, თითქო შორის მხრიდან მოსულაო... მე ის ჩემს დღეში არ მენახა... წარმოვიდგინე, რომ გაზაფხულის შვილია, ისეთი სიკეთით და შვენებით მეჩვენა. ვინ იცის, იქნება რამე სასწაულებრივი სიტყვა უთხრას საბრალო შეშლილს...

**თეოდ.** (იმედ მოცემული) უთხრას? თქვენა გგონიათ, რომ ეტყვის?

**ექიმი.** როდესაც ნახვის ნება მთხოვა, თითქო უსიტყვოდ მეუბნებოდა, სასწაულს ჩავიდენო! ისე სწრაფად მოვიდა, რომ გეგონებოდათ, გამოგზავნილია, რომ დაუყოვნებლივ რამე საქმე უნდა შეასრულოსო. ეტყობოდა, რომ იმისი უეცარიმოსვლა მოფიქრებულ-მოსაზრებული იყო... ამასთანავე შესაძლებელია, რომ იმასაც ძალიან უყვარდა... (სიჩუმე) მაგრამ ძმა რომ არის! იქნება რამე საიდუმლოებას მალავს? მითხარით...

**თეოდ.** ოჰ, ღმერთო, ეს რა ცეცხლია!

**ექიმი.** მითხარით...

**თეოდ.** უუდიდესი უბედურებაა!

**ექიმი.** იმასაც უყვარდა?

**თეოდ.** შეიძლება ეს მხოლოდ მარტო მე ვიცოდე... ზაფხულის საღამოს სასახლეში რამდენჯერ გამიგონია, რომ [...]ნიო ვარდის ბუჩქებთან საზარლად [...]ებდა და გამწარებული ვარდის ტოტებს ამტვრევდა. მე მინახავს, რომ მთელი ღამეები კედელზე მიკრული იდგა ხოლმე და თვალს არ აშორებდა განათებულ ფანჯარას. მე მინახავს, რომ მუხლებით დაემხობოდა ხოლმე მიწაზე იმ ალაგს, [...] კი ეს ქალი გაივლიდა, როგორც ჰკო[...] ბალახს, სადაც კი იმის ფეხის კვალი [...] რა საცოდაობა იყო! რა ღრმა ტრფია[...] იმან იცოდა, რომ მოხუცი მიუხვდა სა[...] მლოებას; გრძნობდა, რომ მშობლ[...] გულით ვიტანჯებოდი. თუმცა თქმას [...] ბედავდა, მაგრამ როცა შემხვდებოდა, [...] თვალები ყველაფერს მეუბნებოდნენ.

**ექიმი.** ძალიან ყურადღებით ჰყო[...] ხართ და ეხლაც დიდს ყურადღებას იჩე[...] (სიჩუმე). ერთი ეს მითხარით, ქალ[...] იც იდა?

**თეოდოტა.** არ ვიცი... ეჭვი კი [...] გულში. არასოდეს არ დამავიწყდე[...] დღე: როდესაც ის ტევრის ერთს მიყ[...] ბულს კუნჭულში ვნახეთ. ორნი მივ[...] დით მე და იზაბელლა. ქალი მოუსვე[...] იყო, სწუხდა; ბედის-წერა და წინაგრძ[...] აღელვებდნენ იმას... ჩვენ შემოგვესმა [...] თლების შრიალი და მაშინვე მივხვდით, [...] ჯაგებში ვიღაც მოძვრება. ის იყო ვი[...] ნიო. იზაბელლამ იცნო და დაუძახა [...] რამდენიმე ნაბიჯზე შეჯდა. მე შევნ[...] რომ ქალმა გაიკანკალა. ვირჯინიო [...] ანს არაჰგავდა, რაღაც ტყიდგან გამო[...] დნილს ემსგავსებოდა: თმა გაწეწილი [...] და და ტანისამოსი შემოფხრეწილი, [...] ბოდა, ჯაგებში გამომძვრალიყო. იზა[...] ლას თვალი ვერ გაუსწორა, თრთოდ[...] ღელავდა. იზაბელლამ რაღაცა ჰკითხ[...]

...ები" ქალებსა და ბავშვებს, რომლებიც ან ...ტრთნოდ არიან, ან ინგ..ისელების მიერ ...ან დაჭერილნი. რადგანაც ინგლისს თავისი ...უთარი ჯარის კაცების ცოლებზე და ბავშვე... ზრუნვაც ეყოფა, ამიტომ ქ.-ბ. მაკსველმა ...რთებულ შტატების საზოგადოებას მიჰმართა; ...იორკის ერთმა დიდმა ბანკმა იკისრა ამ მი... ...თ ხელის მოწერის გამართვა.

✿ «ინდეპენდანს ბელჟ»-ის ლონდონელი კო...პონდენტი ამბობს, რომ ლონდონში ხმა გა...ელდა, ვითომც ინგლისელმა ჯარებმა მია...ვეს ახლად დაჭერილი პიტერსბურგით. ...რამდენად მართალია ეს ამბავი,— სწერს კო...პონდენტი,—არავინ იცის ნამდვილი მხო...ლ ისაა, რომ ლორდ კიტჩენერი პიტერს...რგისაკენ გალაშქრებით ვერას გახდა ისე, რო...რც წინად დევეტთან. მას უნდოდა ბურები ...აქში დაეჭირა, ორივე რესპუბლიკის მთავ...ბა, მისი საწყობები, ბეგმები ხელში ჩაეგ... და ამ ნაირად მთელი მისი ორგანიზაცია ...ესპო. პოლკოვნიკი პლუმერი ძალიან სწრა... მოქმედებდა, მაგრამ მაინც ვერ მოახერხა ...ჩენერის მიერ შედგენილი გეგმის შესრუ... ბურებმა, როგორც მუდამ ჟამს, დრო... გაიგეს ინგლისელების გალაშქრების ამბავი. ...ლისელებმა პიტერსბურგში მხოლოდ ერთი ...აზანი და პატრონები ჩაიგდეს ხელში. ბუ...მა მთავრობის ბინა ხელად ჩრდილოეთისაკენ ...აიტანეს. ხოლო ამ ჩრდილოეთში კიტჩე...ს უფრო გაუჭირდება მოქმედება, რადგანაც ...რც გზაა, არც გვალი, ნიადაგ ციება მძვინვა...ს და შეიძლება, რომ შავი ჭირიც გაჩნ.... ამავე დროს კიტჩენერმა დაუსრულე...ი რკინის გზებიც უნდა დაიცვას, რისთვი... იმოდენა ჯარი დასჭირდება, რომ ის მაშვე... ჯარებიც არ ეყოფა, რომელიც ეხლა სამ...ეთ-აფრიკაში იგზავნება.

...ველა ამ ცნობების მიხედვით, აქ ყველამ ...ე ზავზე ლაპარაკი დაიწყო და საზოგადოება ...ადებს, რომ უსათუოდ ზავი უნდა შეიკრას, ...ნდაც ამისათვის ბევრის რისამე დათმობა ...ჭირდესო. სამხედრო წრეებიც კი ამ აზრი...ი არიან».

✿ კაპშტადტიდგან იუწყებიან, რომ ბოსკო...ს ოლქში ბურების სხვა და სხვა რაზმის ...მომადგენლები, რიცხვით 40 კაცამდე, შეიკ...ნენ, იმ მიზნით, რომ ორანჟეს რესპუბლიკის ...ზიდენტი ახალი ვადით აერჩიათ; ისევ შტე... აარჩიეს და შემდეგ კრებამ მის პატივსაცე...ლ ნადიმი გამართა.

✿ ჟენევიდან ატყობინებენ «დეილი ტელეგ...ფს» რომ იქიდან 450 იტალიელი ანტვერ...ში წავიდათ, საიდანაც შემდეგ სამხრეთ-აფრი...ი წავლენ და ბურების ჯარებს შეუერთდე...ო.

✿ «მანჩესტერ გვარდიანის» ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ აფრიკანდრებმა — მერიმანმა და ზაუერმა, რომლებიც ინგლისში მოვიდნენ, რათა პარლამენტს სამხრეთ აფრიკის ნამდვილი მდგომარეობა გაეცნოთ, ხელი აიღეს ამ განზრახვაზე, რადგანაც დეპუტატთა პალატამ მტკიცედ უარჰყო მათი თხოვნა; ამათ გადასწყვიტეს, რომ ინგლისის სხვა-და-სხვა ადგილს საჯარო კრებები გამართონ. მათმა მისვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია მთელს ინგლისში და ამიტომ, ეჭვი არაა, რომ მათ სიტყვებს დიდ-ძალი მსმენელი გამოუჩნდება, მით უმეტეს, რომ ზავზე მოლაპარაკების შეწყვეტამ ბურებთან და ბრძოლის ველიდან მოსულმა საკმაოდ ცუდმა ამბებმა საზოგადოებაზე იმოქმედეს; ამიტომ ეხლა საზოგადოება უფრო დინჯად სჯის სამხრეთ-აფრიკის ომის საქმეს, სანამ წინეთ. რაც შეეხება ირლანდიელების ცნობილ განზრახვას, რომ მერიმანი ერთ-ერთი ირლანდიელი დეპუტატის ნაცვლად არჩეული ყოფილიყო, მერიმანისა და ზაუერს ზემოხსენებული გადაწყვეტილების გამო ამ განზრახვას, ალბად თავს, დაანებებენ.

# ახალი ამბავი

† გუშინ ტელეგრაფმა გვაუწყა სამწუხარო ამბავი: სოფელ ჯიხაიშში გარდაიცვალა მეტად სიმპატიური ახალგაზდა სიმონ ბეჟანისძე ლორთქიფანიძე. განსვენებულმა რამდენიმე წლის წინად დაასრულა ოდესის უნივერსიტეტი და, როგორც ნიჭიერი და მეტად ბეჯითი მოსწავლე, უნივერსიტეტში იქმნა დატოვებული პროფესსორობაზე მოსამზადებლად. ახალგაზდა სიმონი გულმოდგინედ შეუდგა თავის საგნის—ქიმიის—შესწავლას და უკანასკნელ წელს ლაბორანტად იყო ბუნების მეტყველების ფაკულტეტზე. ულმობელმა სიკვდილმა უდროოდ გამოასალმა წუთი-სოფელს ახალგაზდა, რომელიც მალე დაამშვენებდა ქართველ მეცნიერ-პროფესსორთა მცირე გუნდს. წყნარი, მეტად კეთილშობილი და გულწრფელი ახალგაზდა დიდად უყვარდათ მის მასწავლებელ-ამხანაგებს, რომელნიც ხშირად თხოულობდნენ აქედან ცნობებს ავადმყოფის სიმონის შესახებ და რომელთაც დიდად შეაწუხებს საყვარელ მეგობრის გარდაცვალების ამბავი.

ქართველ მოზა დ თაობას მეტად საიმედო წევრი გამოაკლდა, რაც ახალგაზდობასთან ერთად შეაწუხებს მთელს ჩვენს საზოგადოებას.

✦ ამიერკავკასიის რკინის გზების მმართველობამ შეატყობინა კავკასიის მომავალ გამოფენის კომისარს, რომ 28 აპრილიდან ამიერ კავკასიის რკინის გზებზე შემოღებული იქნება შემცირებული და შეღავათიანი ტარიფ გამოფენის ექსპონატების გასაგზავნად ტფილისში.

✦ დღეს, საღამოს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია სხდომა მომავალ სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის გამგე კომიტეტისა.

✦ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ატყობინებს კავკასიის გამოფენის კომისარს, რომ გამოფენის მომწყობელ კომიტეტში მონაწილეობის მისაღებად სასულიერო წოდების წარმომადგენლად დაინიშნა ტფილისის პირველ დედათა გიმნაზიის საღმრთო სჯულის მასწავლებელი მ. ჩიკანდრ პოკროვსკი.

✦ ხვალ 15 აპრილს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდება სხდომა ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორების იმ კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს წელს კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენაზედ ბეჭვდითი საქმის განყოფილების მოწყობა. სხდომაზედ მიწვეული არიან აგრეთვე ყველა სტამბის პატრონები, რომელთან ერთად კომისია განიხილავს ამ საგანს.

✦ ყუბის ოლქის ეკონომიურმა საზოგადოებამ შეატყობინა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რომ იგი თავის მხრით რამდენიმე მედალს ჰნიშნავს მომავალ გამოფენის ექსპონენტების დასაჯილდოებლად.

✦ წმ. ნინოს ტფილისის სასწავლებელს წელს მიეცა ხაზინიდან 9 ათასი მანათი.

✦ ოფიციალურის ცნობებით, ამ ჟამად ტფილისის გუბერნიაში საქონლის ჭირი სრულიად მოისპო. მხოლოდ თიანეთის მაზრაში ერთ ადგილას არის კიდევ რამდენიმე თავი საქონელი ავად, მაგრამ უკანასკნელის ორის კვირის განმავლობაში იქ აღარც ერთი საქონელი აღარ გამხდარა ავად.

✦ დღეს, 14 აპრილს, ტფილისში მოხდება კრება ტფ. გუბერნიის ვეტერინარ-ინსპექტორებისა. კრება განიხილავს იმ მასალას, რომელიც შეგროვდა გუბერნიაში საქონლის მდგომარეობის აღწერა-გამოკვლევის დროს.

✦ პეტერბურგიდან გვატყობინებენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუწყვეტია ორგვარი საშუალება იხმაროს ამიერ კავკასიაში საქონლის ჭირთან საბრძოლველად: 1) წინანდელად ხოცოს საქონელი, რომელიც ნამდვილად ჭირით არის ავად და 2) საეჭვო საქონელი-კი გზავნოს ასაცრელ სადგურებში და სხვა დანიშნულ ადგილებში, სადაც ავადმყოფ საქონელს აცრით დაუწყებენ წამლობას. სამინისტრო გზავნის ორ გამოცდილ ვეტერინარს, რომელნიც ციმბირში იყვნენ ასაცრელ სადგურზე, და ავალებს მათ მოაწყონ ამიერ კავკასიაშიაც ეს საქმე.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა პროექტი განჯის გუბერნიის სოფ. ზურნაბადში ჭირით ავადმყოფ საქონლის აცრის სადგურის დაარსების შესახებ. სადგურის კეთებას სახაზინო მიწაზე მაისიდან შეუდგებიან.

✦ კავკასიის სავეტერინარო უწყების უფროსი ბ. რემერტი დაღესტნის ოლქში წავიდა, სადაც საქონლის ჭირი ძლიერდება ამ ბოლოს დროს.

✦ დრაგუნთა ნიჟეგოროდის პოლკი თავის არსებობის 200 წლის იუბილეის იდღესასწაულებს მომავალ 8 ენკენისთვეს.

✦ ხვალ, 15 აპრილს, ტფ. მესამე სავაჟო გიმნაზიაში გაიმართება მუსიკალურ-ლიტერატურული დილა. სხვათა შორის, გიმნიზიის მოწაფე ბარნოვი წაიკითხავს მოკლე ისტორიას საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ.

✦ დღეს, 14 აპრილს, სახალხო კითხვათა სადგომში დანიშნულია ხალხური წარმოდგენა სცენის მოყვარულთაგან. წარმოადგენენ ა. ცაგარლის კომედიის „მათიკო"-ს მესამე მოქმედებას და ამავე ავტორის ვოდევილს „ჭკუისა მჭირს".

✦ „როსსია"-ში ვკითხულობთ: განზრახულია ბეგარის მაგიერ ადგილ-მამულის გადასახადი გააწერონ ამიერ კავკასიის იმ მცხოვრებთ (მაჰმადიანთ), რომელნიც სამხედრო სამსახურში არ გაჰყავთ ჯერ.

✦ გუშინ პეტერბურგში დანიშნული იყო გზათა სამინისტროში არსებულ განსაკუთრებულ კომისიის სხდომა, რომელზედაც, სხვათა შორის, უნდა განეხილათ საკითხი სოფ. დარკვეთიდან საჩხერემდე რკინის გზის გაკეთების საქმე.

✦ გუშინ წინ, 12 აპრილს, ნათლუხში და ორთაჭალაში შუადღის ორ საათზე დიდი სეტყვა მოსულა.

✦ ფინანსთა სამინისტრო მოკლე ხანში შეადგენს კომისიას, რომელსაც დაავალებს შემუშავებას პროექტისას, თუ როგორ უნდა შემცირდეს სამუშაო დღე სოფლის მცირეწლოვან მუშებისათვის.

---

...ხვაზე ის შევარდა ტყეში, როგორც და...თხალი ირემი. ქალმა გაკვირვებით შემო...და, მაგრამ არაფერი კი არ მითხრა. ღრმა ...უმე ჩამოვარდა. თავის დღეში ..რ დამა...ყდება ეს წუთები.

...ქიმი. განა შესაძლებელია, რომ დაივი...თ?

...ეოდოტა. ეს იყო ენკენისთვის გასულს. ...ცოტა ჩემზე წინ მიდიოდა. რაღაც ტო...მოედო იმის კაბას, და ფოთლებმა შრი... დაიწყეს. მაშინ გული ამომიჯდა და ...გონდი იმისი მომაკვდავი დედა, რომე...ც ხშირად მიმეოდებდა: „გაუფრთხილდი ...ოტა, გაუფთხილდიო". მე კი ვერ შე...ლე გაფთხილება, ვერ გადავარჩინე გან...ელს! იგი შელება მაღმერთებელმა სი...მა, და მას აქეთ არც მკვდარია და არც ...ცხალი!

...ქიმი. ვინ იცის! ვინ იცის! იქნება ის ...ოლ უმაღლესს სიცოცხლით სცხოვრობს, ...რე ჩვენ! ის კი არ მომკვდარა, რაღაც ...უმლო ბურანში გაეხვია. ჩვენ ის კა...ები არ ვიცით, რომლებსაც ემორჩილე...ბლა იმისი სიცოცხლე.., უეჭველია, ...იური კანონებია.

...ეოდოტა. (კარებთან მივა და ყურს უგ...). კიდევ სძინავს?

...ნფილის ხმა. (ბაღში მღერის):
...ზად, უჩუმრად, ფერიასავით
...ეხლა მომივა ჩემი ტრფიალი,
რომ ამ ჩემს ბაღში ორივემ ერთად
ნეტარებისა შევსვათ ფიალი!...

თეოდ. სძინავს. კაცმა რომ ნახოს, როგორა სძინავს, არ დაიჯერებს, რომ იმას დიდი უბედურება ეწვია. როდესაც სძინავს, სახის გამომეტყველება სულ უმანკო აქვს. ჭმუნვარება კი ყოველთვის აჩნია, მაგრამ ეს უფრო ამშვენებს.

ექიმი. მართალია. ხან და ხან გეჩვენება, რომ წინანდელი სული დაჰხარის თავს, როდესაც სძინავს.

თეოდ. ხან მეჩვენება, რომ იზაბელლა ძილის დროს მიყურებს დახუჭული ქუთუთოებიდან უბიწო და უმანკო თვალებით. ნატავი როცა გაიღვიძებს, როდისმე გამართლდებოდეს ეს მოჩვენება! ეს შესაძლებელია ექიმო?

ექიმი. ჰო, შესაძლებელია. შეიძლება, რომ უმანკო იყოს. თქვენ არ შეგიმჩნევიათ, რომ ზოგჯერ უცბად გამოიცვლება ხოლმე.

თეოდ. ოჰ, სასწაულო! განგებავ! ვირჯინიოს რომ შეეძლო იზაბელლას ნახვა და მასთან ლაპარაკი ..

ექიმი. ნახავს.

თეოდ. როდის?

ექიმი. მალე. შეიძლება, დღესვე.

თეოდ. ნეტავი იცნობს ი..ს იზაბელლა! ნეტა რას ეტყვის? ან ის რას უპასუხებს ქალს? რა ეზმანებოდა იმას?

ექიმი. რასაკვირველია, უდიდესი ზმანება.

თეოდ. და ეს ამბავი სწორედ იმ დროსაა, როდესაც ის ყმაწვილი მოვიდა სისხლში მოსვრილის თავის ძმის წასაღებად.

ექიმი. ცხედრის წასაღებად თითონ მოვიდა?

თეოდ. ორი ბიჭი ახლდა. განთიადისას მოვიდნენ, როგორც კი გაეგოთ, და სუდარაში გახვეული ცხედარი წაიღეს. მე ფანჯრიდან უყურებდი: ვირჯინიომ პირს გადახადა ძმას, დიდხანს დაშტერებით უყურა და ბოლოს შუბლზე აკოცა. მერე ბიჭებმა ასწიეს და წაიღეს საბრალო ცხედარი. დედასთან წაიღეს და თითონაც უკან გაჰყვა. ნეტა რა იქნებოდა, რომ შეშლილის საზარელი კივილი გაეგონა, რომელიც მთელი ღამე კვდარს ეხვეოდა, რომლის სისხლიც მთლად გადაენთხია იმ საბრალოს... .ნეტა მას შემდეგ რასა ფიქრობს?

ექიმი. ის უმაღლეს რამეს ჰფიქრობს, რომლის გამოცნობაც მხოლოდ მაშინ შეგვიძლიან, როდესაც მოვიგონებთ ჩვენს ყვავილოვან ახალგაზდობას.. ხმის გამო იზაბელლა მისთვის მიუწდომელია, მაგრამ ვერ ითმენს, რომ არა ნახოს ერთი წუთით მაინც. უიმისოდ სიცოცხლე არ შეუძლიან.

თეოდ. ნუთუ არაფერი არ მოხდება! იმედი?

ექიმი. მოვიცადოთ და ვნახავთ. . ეს საზარელი წუთებია! ის ქალთან მივა გამოუთქმელის სიყვარულით; ცრემლით და ბოღმით აღსავსე, ნახავს ქალს, რომელიც შეღებილია იმისი ძმის სისხლით, ქალს, რომელიც გადაესახლა იმ სამწუხარო და საიდუმლო მხარეს, რომელიც სიკვდილზე ბევრით უარესია; ამის მნახველი მას მსხვერპლად შესწირავს თავის სიყვარულს და ზმანებას.. ქალი კიდევ ბავშვურად დაუწყებს იმას ლაპარას, რაიც ვირჯინიოს აგრძნობინებს სიკვდილის მოახლოებას.

თეოდ. (შეწუხებული) უცბად რომ გონზე მივიდეს?! სასწაული რომ მოხდეს, მაშინ?..

ექიმი. მაშინ? მაშინ შესაძლებელია, რომ ორივეს სიცოცხლე მოისპოს!

თეოდ. (ყურს უგდებს და კანკალით) იმისმა ცხენმა დაიჭიხვინა ტყეში!

ჯანფ. ხმა. სიმონეტტაა იმის სახელი,
ვინცა ჰფლობელობს ამა ჩემსა გულს;
ნეტა თუ ქვეყნად ვინმე იხილავს
მისებრ ქმნილებას, ცის მადლით შემკულს!

ექიმი. იქნება გაიღვიძა?

თეოდ. (მივა კარებთან, დაბლა ამბობს) ზევით არის... კიბეზე ჩამოდის. (ჯანფილოს სიმღერა ნელ ნელა სწყდება).

ა. ცაგარელი.

(შემდეგი იქნება)

✦ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებაში გადაიდვა 20 ათას მანეთამდე ლიახვზე და გორში ხიდების შეკეთებისათვის.

✦ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უწყების უფროსი ზ. ლინდენი გუშინ დაბრუნდა ტფილისში ერევნის გუბერნიიდან.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გუშინ დაამტკიცა ის ჯარიმები, რომელნიც ტრამვაის მეთვალ-ყურე ხმოსანთა კომისიამ მიუსაჯა უსახელო საზოგადოებას თებერვლისა და მარტის განმავლობაში.

✦ ტფილისის ობოლთა სასამართლოს თავმჯდომარემ შუამდგომლობა აღძრა ტფ. ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ მოიძებნოს სხვა სადგომი ხსენებულ სასამართლოსთვის, რადგანაც ეხლანდელი მეტად უხერხულია.

✦ ტფილისის საგუბერნიო მმართველობამ მოსთხოვა ქალაქის თავს მალე წარმოადგინე ფუნიკულერის პროექტი პეტერბურგში გასაგზავნად ბ დასამტკიცებლადო.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრმა მ. ს. შესტაკოვმა შემდეგი განცხადება წარუდგინა გამგეობას: „ტფილისის ქალაქის მმართველობის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილია მხოლოდ ის კრედიტები, რომელნიც საბჭომ დაამტკიცა და რომელნიც ძალაში შევიდნენ, რაცგანაც საგუბერნიერო მმართველობას პროტესტი არ განუცხადებია; ხოლო მთელი ხარჯთ-აღრიცხვა გუბერნატორს წარედგინა 21 მარტს, მაგრამ დღემდის მისგან არავითარი პასუხი არ მოსულა იმის შესახებ—ამტკიცებს თუ არა მთელს ხარჯთ-აღრიცხვას? ამის გამო და აგრეთვე თანახმად უმართებ. სენატის განმარტებისა 6 ივნისს 1900 წ. (№ 7340), რომ ორი კვირის ვადა, რომლის განმავლობაში საგუბერნიო მმართველობამ უნდა დაამტკიცოს საბჭოს დადგენილებანი, შეეხება ხამჯთ-აღრიცხვებსაც, ჩემის აზრით, ჩვენი ხარჯთ-აღრიცხვა ძალაში შესულაო.

✦ როგორც გვქონდა აღნიშნული, ტფილისის სასულიერო სემინარიის მთავრობამ ვერაზე შეიძინა 30,000 მან. ღირებული ადგილი, რომელზედაც განზრახვა ჰქონდა აეშენებია სემინარიისათვის ახალი სადგომი; რადგანაც ეს ადგილი აღნიშნულ მიზნისთვის მეტად მოუხერხებელი აღმოჩნდა, სემინარიის პედაგოგიურ საბჭოს გადაუწყვეტია გაჰყიდოს ისევ ეს ადგილი და აღებულ ფულით უმჯობესი ადგილი შეიძინოს.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზედ განხილულ იქმნა მოხსენება იმის შესახებ, რომ ქალაქს მებაღეობის საქმეში მოღვაწეთა საზოგადო კრებაზედ თავის საკუთარი წარმომადგენელი დაენიშნა; გამგეობამ აღნიშნულ კრებაზედ წარმომადგენლად დანიშნა ქალაქის საბჭოს ამ კომისიის თავმჯდომარე—ბ-ნ ა. ა. ქალანთარი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ქალაქის ტყისა და ბაღების მოვლა-გამგეობის საქმე.

✦ დღეს, 14 აპრილს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნული არიან შემდეგი საქმეები: ბრალდ. ნიკოლოზ ქაჯარიშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება, თეოფილე ბაბუნაშვილისა—ქურდობის ჩადენა ჰბრალდება, ვასილ ანდრიაშვილისა, კაცის მოკვლა ჰბრალდება, ვლადიმერ გვიმრაძისა—კაცის მძიმედ დაჭრა ჰბრალდება და სოლომონ ქუჩუხიძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1641, 115 და 1459 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენა ჰბრალდებათ.

✦ გუშინდელ ნომერში უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ 12 აპრილს, ნაშუადღევის 1 საათზედ, ცეცხლი გაუჩნდა ი. ა. თაიროვის და სხ. საპნის ქარხანას და ცეცხლი ისე ძლიერ მოედო უმთავრეს სადგურს, რომ თუმცა მალევე ჩააქრეს, მაგრამ ზარალი მაინც 8,000 მან. მოუვიდათ მის პატრონთ. როგორც ეხლა გვატყობინებენ, ცეცხლის გაჩენის მიზეზი ის ყოფილა, რომ ქონის ადუღების დროს უეცრად ქვაბიდან წვეთები ჩავარდნილა ცეცხლში, რის გამოც უეცრად ავარდნილი ალი მსწრაფლ მოედო ქარხანას. სააქციონერო ამხანაგობას ქარხანა დაზღვეული ჰქონია „როსსიის“ საზოგადოებაში 35000 მანეთად.

✦ პეტერბურგის გაზეთებში ვკითხულობთ: ორშაბათს, 9 აპრილს, პეტერბურგის უნივერსიტეტში, მთავრობის ნებართვით, დანიშნულია სტუდენტების ყრილობა.

✦ საერო განათლების სამინისტროში შესდგა საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს პროექტი ქალების უმაღლეს სასწავლებლებში სამეურნეო სწავლის მოწყობის შესახებ.

✦ რუსეთში მცხოვრებ მაჰმადიანთ კვლავ მიეცათ ნება სალოცავად წასვლა მეკკასა და მედინაში. წამსვლელები ამასთანავე ვალდებულნი არიან დაემორჩილონ მთავრობის მიერ შემუშავებულს სასანიტარო წესებს.

✦ ჩვენ გვთხოვენ მივაქციოთ ყურადღება ვისაც ჯერ არს, რომ ოლგის ქუჩაზე, თამამშევის სახლში, დაბინავდა ერთი მკითხავი-თათარი, რომელიც საშინლად ატყუებს და სცარცვავს ხალხს და რომელიც ორჯელ კიდეც იყო წინად ტფილისში.

✦ ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი ანგარიში: 6 იანვარს ტფილისის თავად-აზნაურთა სკოლის სასარგებლოდ გამართულ მეჯლისიდან შემოსავალი იყო 3.004 მან. და 29 კაპ. აქედან 1.909 მ. 84 კ. ბილეთების ფასი, 218 მ 10 კ. ბუფეტიდან და 876 მ. 35 კ. შემოწირულობა. დაიხარჯა: მარკებზე 110 მ., ბუფეტზე 193 მ. 55 კ., დარბაზის ქირა და განათება 138 მ. 25 კ., მუსიკები და საზანდარი 165 მ., მოსამსახურეებს 16 მ., აფიშების და ბილეთების დაბეჭდვაზე 12 მ., წერილების დაბეჭდვაზე 17 მ., კონვერტებში მიეცა 10 მ. და 15 კ., «კრუჟოკის» მოსამსახურის ანგარიშით 7 მ., წერილების დამტარებლებთ 11 მ., «ნოვოე ობოზრენიეს» განცხადებისა 7 მ. და ეტლის ფასი 1 მ.—სულ ხარჯი იყო 687 მან და 95 კაპ.

წმინდა შემოსავალი დარჩა 2.316 მან. და 34 კაპ., რომელიც დანიშნულებისამებრ გადაეცა «ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის გამგე კომიტეტს».

შემოწირულობა მივიღეთ: თავ. გ. ს. და მ. თ. გოლიცინთაგან 100 მან., თავ. ე. დ. ქობულოვისაგან 100 მან., თავ. დ. ზ. მელიქოვისაგან 70 მ. 80 კ., ს. კ. ზუბალოვისაგან 50 მ., კ. ი. ზუბალოვისაგან 22 მ. 90 კ., პ. კ. ზუბალოვისაგან 20 მ. 80 კ., გ.-ზ. ა. თაღიევისაგან 25 მან., თავ. ზ. გ. ერისთავისაგან 20 მ. 80 კ., ა. ი. ყაზაროვისაგან 22 მ. 90 კ., ქ. ვ. და გ. ი. სერებრიაკოვებისაგან 20 მ 80 კ., ე. თ. სტაროსელსკისაგან 22 მ. 90 კ., ვ. დ. სტაროსელსკისაგან 20 მ. 80 კ., ვ. ი. გურცოვისაგან 15 მ., ბ. თურქიასაგან 10 მ., თავ. ა. ი. ორბელიასაგან 7 მ. 90 კ., უცნობისაგან 7 მ. 50 კ., და დანარჩენთაგან 338 მან. 25 კაპ.

არ მიგვიღია ბილეთების ფასი 109 პირთაგან. მეჯლისის გამგე, კნეინა მარ. ვახ. ჯამბაკურ-ორბელიანისა, აცხადებს რა ამ ანგარიშს უგულითადესს მადლობას უძღვნის ყველა შემომწირველთ და იმათ, ვინც კი თავიანთი დახმარებით ხელი შეუწყეს მეჯლისის გამართვას და აგრეთვე «კავკაზ»-ის, «ივერიის» და «ცნობის ფურცლის» რედაქციათ, რომელთაც უსასყიდლოდ ბეჭდეს განცხადებები.

✦ ტფილისის მოქალაქეს ნიკ. კერძოვაძეს, რომელიც მე-X ნაწილში მცხოვრებს, ატენის ვიწრო ქუჩაზე, განუცხადებია პოლიციისათვის, რომ მას მოჰპარეს 1050 მან., რომელიც ქვეშაგებში-ჰქონდა ჩაკერილი, ეჭვი კერძოვაძემ თავის ნაცნობზე, ლუკა მახარაძეზე განაცხადა. გამოძიება სწარმოებს.

✦ ს. თიანეთიდან გვწერენ: 8 აპრილს, ს. ქებოტაში, (თიანეთის საზოგადოება) მცხოვრებლები დღეობაში წასულან სალოცავად; როდესაც ყველანი ცოტათი შეზარხოშებულან, ბაგრატ ივანაურს და დათიკო ბადურაშვილს ერთმანეთში ლაპარაკი მოსვლიათ; დამსწრეთ ბაგრატა შინ წამოუყვანიათ რათა მოჩხუბარნი დაეშოშმანებინათ, მაგრამ დათიკო ბადურაშვილი ბაგრატა ივანაურს უკან გამოჰკიდებია. ბაგრატას, რა დაუნახნია მისაკენ ქვით მიმავალი გამგელებული დათიკო, ქვისთვის ხელი წამოუვლია. ბაგრატას დაუსწრია და უსროლნია. ქვა დათიკოს საფეთქელში მოჰხვედრია და იქვე უგრძნობლად დაცემულა, ცოცხალ-მკვდარი შინ წამოუყვანიათ და მესამე დღეს, 10 აპრილს, გარდაცვლილა. გამოძიება სწარმოებს.

✦ გუშინ ტფ. საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე დეიტს. სტ. სოვ. ცოლის ანნა შმაკოვისა, რომელსაც დაბრალდა ბოქაულისაგან მიბარებულ ქონების განფლანგვა. ეს ქონება, დაფასებული სულ 29 მანათად, ეკუთვნოდა შმაკოვის შვილს და უნდა საჯაროდ გაყიდულიყო ვალებში. ვაჭრობაზე შმაკოვისამ არ წარმოადგინა ქონება, სასამართლომ დამნაშავედ იცნო იგი გაფლანგვაში და მიუსაჯა ოთხის დღით დაპატიმრება.

✦ ტფილისის საქალაქო გამგეობამ განიხილა გუშინ მუხრანიანთ ბორანის მოიჯარადრის ბუდალოვის თხოვნა მის გირაოს (3000 მან.) შემცირების შესახებ. გამგეობამ დაადგინა: 1) გამოექვითოს გირაოს ფულიდან ბუდალოვზე დარჩენილი „ნედოიმკა“ 1000 მან. და 2) საბჭოს ეთხოვოს გირაოს შემცირება, თანახმად ბუდალოვის თხოვნისა.

## საღამოს დეპეშები

13 აპრილი.

**ბარცელონა.** რუსეთის ესკადრა საბერძნეთში წავიდა.

**პეკინი.** მოკავშირეთა ჯარები, რიცხვით 800 კაცი, პოლკოვნიკ რადფორდის უფროსობით, გამოვიდნენ შანჰაი-გუანიდან ავაზაკთა იმ ბრბოს დასასჯელად, რომელსაც ფიინინფუს ახლო პენჯაბის ქვეითა ჯარის მე-4 როტასთან ჰქონდა ბრძოლა, რომლის დროს მოკლულ იქმნა მაიორი ბრაუნინგი. ავაზაკებმა რადფორდს წინააღმდეგობა გაუწიეს. რადფორდის რაზმიდან მოკლულ იქმნენ 6 ინგლისელი, ორი იაპონელი და ერთიც ფრანგი; ავაზაკებმა 50 კაცი დაჰკარგეს და მთებში მიიმალნენ. უკან გაედევნა რადფორდის ჯარი. ბრაუნინგის გვამი იპოვეს.

**იოკოჰამა.** სამინისტრო საბჭოს კრებაზე ფინანსთა მინისტრმა ახსნა თავისი საფინანსო პოლიტიკა. მინისტრის ახსნას მსმენელნი კმაყოფილებით შეხვდნენ.

**ფრანკფურტი-მაინზე.** ქიმიკურ ქარხანაში „ელექტრონი„ გრიზგეიმში გასქდა სამი ქვაბი და მთელს ქარხანას ცეცხლი მოედო. იწვის აგრეთვე შვანგეიმის ქარხანა მაინის იქითა ნაპირზე. ცეცხლის გაჩენის მიზეზი არის პიკირნის სიმჟავის ჭურჭლების ცეცხლის მოკიდება. მეზობლად ზოგი სახლები დაიქცა, ზოგიც გადაიწვა. მდინარეს იქითა ნაპირზე ცეცხლი გააქრეს. გრიცგეიმიდან მცხოვრებლებმა სადგომებს თავი დაანებეს, რადგანაც ეშინოდათ ბენზინის საწყობის აფეთქებისა. რვის ნახევარზე მოხდა უკანასკნელი აფეთქება, და შემდეგ ნება დართეს გახიზნულებს დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახლებში. აფეთქების შიში აღარ არის, მაგრამ ცეცხლი კი ჯერაც ვერ ჩაუქრიათ. საღამოს რვა საათამდე ფრანკფურტში მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილი იყო. მატარებლებით მხოლოდ დაშავებულები მიჰყავდათ. როგორც ჰფიქრობენ, მოკლული ასამდე უნდა იყოს, ნამდვილ რიცხვს შეიტყობენ, როცა მუშათა სიებს შეადგენენ.

**პრეტორია.** მაიორი ტაუაიფორდი მოიმწყვდიეს მახადოდორპიდან ლეიდენბურგში მიმავალ გზაზე, ბადფონტეინის ახლო. ტაუიაფორდი მოკლულია; მისი ჯარის კაცები მამაცურის ბრძოლის შემდეგ მაინც იძულებულნი შეიქმნენ იარაღი დაეყარათ.

**იოკაჰამა.** ოსკონში, სამხრეთ და საშუალო პროვინციებში, ორასზე მეტმა ბანკმა შესწყვიტეს ოპერაციები. იაპონიის ბანკმა მოუმართა ხელი, მაგრამ ეშინიანთ მომავალში გაჭირვებისა. საერთო ფინანსიურაა პანიკამ მიაცო მხარე.

**არხანგელსკი.** აქ მდინარეებს ყინულ[ი] მოაქვს.

**გროდნო.** ყვავილ[ების] ... ლის ნახნავების თესვა ...

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ბაქოში გადის კვირაში ერთხელ—ოთხშაბათობით დილის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფილისში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. (... ს. 10 წ.).

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 13 წ.). ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 საათ. 35 წ. (6 საათ. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის საღამოს 6 საათ. 30 წ. (7 ს. 28 წ.), ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმიდან ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან ... (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს 34 წ.), ბაქოში ჩადის დილის 7 ს. (7 ს. 58 წ.).

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ 18 ამ აპრილს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, გამგეობის სადგომში მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გა... ცემა იჯარით ალექსანდრეს ბაღში ადგილ[ისა] ზომით 30 ოთხკუთხი საჟენი ასაშენებლა[დ] პავილიონისა, რომელშიაც უნდა იყიდებ[ო]დეს რძე, ჩაი, ყავა, შოკოლადი და სხ[ვა] ამგვარი.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს ბე ასი მანეთ[ი].

დაწვრილებითი პირობები მსურველთ შ[ეუ]ძლიათ განიხილონ გამგეობაში ყოველდღ[ე], კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდ[ან] ნაშუადღევის 2 საათამდე. (ნ. 3—1)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრე[ბი]ბით 16 აპრილს, 1901 წ. შუადღის ... საათზე,

**დანიშნულია საჯარო**

**ვაჭრობა,**

რომლითაც გაიცემა იჯარით უსუფთ[ა]ო წყლის გასაყვანი მილის გაკეთება ბეტონის[აგ]ან—სიგძით 77,50 საჟენი ანდრეევის ქ[უ]ჩაზე, 4000 მანეთის ღირებულებისა.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეო[ბის] მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილ[ე]ბითი პირობები გამგეობის მესამე ღ... ნებელ განყოფილებაში ყოველ-დღე, კვი... რა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან შუადღევის 3 საათამდე. (ნ. 3—2)



სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბისა, ვანქის დიდი ქუჩა. № 27.